კონფლიქტების რეზოლუცია და ევროკავშირის ჩართულობა რეზოლუციის პროცესში
(ჩრდილო ირლანდიის, კვიპროსისა და აფხაზეთის შემთხვევები)

თათული თორდია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები:
საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

თათული თორდია

თარიღი 16.06.2023

მადლობა

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის წარმომადგენლებს და თითოეულ ადამიანს, ვისაც წვლილი მიუძღვის ჩემი ნაშრომის სრულყოფაში. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამეცნიერო კვლევის ხემძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ ნინო ფავლენიშვილს, რომლის დახმარებით შევძელი ჩემს მიერ შერჩეული საკვლევი თემატიკის ღირებული კვლევა.

აგრეთვე უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კვლევაში მონაწილე თითოეულ ადამიანს გაზიარებული ცოდნისა და გამოცდილებისთვის.

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია დეტალურად შეისწავლოს საერთაშორისო ორგანიზაციის, კერძოდ, ევროკავშირის ჩართულობა ეთნიკური კონფლიქტების რეზოლუციის/ტრანსფორმაციის პროცესში. ზოგადად, კვლევა აჩვენებს, რომ იდენტობაზე დაფუძნებული კონფლქტის გადაჭრა განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. გაანალიზირებული უნდა იყოს კონფლიქტის ყველა ასპექტი - გამომწვევი მიზეზები, დინამიკა და სხვა.

კვლევა დედუქციურია. ის იყენებს რამდენიმე თეორიულ სკოლას. მათ შორის გალტუნგის, ლედერეხისა და მიალსის კონფლიქტის/მშვიდობის სამკუთხედებს, მიტჩელის თეორიას, მაგრამ ძირითადი საფუძველია ჰომანსის ინტეგრაციის თეორია, სიმწიფისა და მზადყოფნის თეორია. ჰომანსის თეორიის მიხედვით, მნიშვნელოვანია კონფლიქტების მიკრო - დონის დინამიკის (სახალხო დიპლომატიის) გათვალისწინება, ხოლო სიმწიფისა და მზაობის თეორიები სწავლობს კონფლიქტის მხარეების ქმედებას, მოაგვარონ კონფლიქტი მშვიდობიანი გზებით.

ეთნიკური კონფლიქტი კომპლექსური ხასიათისაა, ამიტომ აღწერილი თეორიებიდან სამივე ცალცალკე ვერ გამოდგება თითოეული ქეისის ტრანსფორმაციული თუ რეზოლუციის პროცესების ასახსნელად. ამიტომ, ნაშრომმა განიხილა თითოეული კონფლიქტი სხვადასხვა თეორიების ჭრილში და შეისწავლა ევროკავშირის მექანიზმების ეფექტურობა/წარუმატებლობა თითოეულ შემთხვევაში.

კვლევა თვისებრივია. იყენებს მეთოდების ტრაინგულაციას, რომელთა შორისაა ქეისების მეთოდი, მათი შედარებითი ანალიზი (ევროკავშირის კონფლიქტში ჩართულობის მსგავსებისა და განსხვავებების დასადგენად), კონფლიქტის დინამიკის აღწერისათვის გამოყენებულია კვლევის მიდევნების მეთოდი, ხოლო ევროკავშირის ჩართულობის ეფექტურობის/წარუმატებლობის დასადგენად შესწავლილია პირველადი წყაროები (რაპორტები, ლიდერების სფიჩები და სხვა).

კვლევამ აჩვენა, რომ ჰიპოთეზა თანხმობაშია ჩამოთვლილ სამ თეორიასთან სხვადასხვა დონეზე. ემპირიული მონაცემებით მოხდა ჰიპოთეზის ტესტირება;

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის კონფლიქტის ტრანსფორმაციული მექანიზმები ეფექტურია წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში, და ნაკლებად ეფექტური ან არაეფექტურია არაწევრი ქვეყნების შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები:

კონფლიქტის რეზოლუცია; სამშვიდობო პროცესები; მზაობა; სიმწიფე; ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა; კონფლიქტის სამკუთხედი; ჩრდილო ირლანდიის, კვიპროსის და აფხაზეთის კონფლიქტი.

Abstract

The purpose of this master's thesis is to examine the role of an international organization- the European Union in the process of ethnic conflict transformation/resolution. According to studies, identity-based conflict resolution tends to be especially challenging; therefore, all facets of the conflict including origins, dynamics, and so on, must be examined.

The research is deductive. It utilizes a number of theoretical schools. Including the conflict/peace triangles of Galtung, Lederach, and Miall, as well as Mitchell's theory, the essential base is in Homans's integration theory, Ripeness and Readiness Theories. According to Homans's theory, it is crucial to consider the micro-level dynamics of conflicts (public diplomacy), whereas theories of Ripeness and Readiness evaluate the conflict sides' attempts to terminate the dispute amicably.

The study is qualitative. Because ethnic conflicts are intricate, all three of the presented theories cannot be employed independently to explain transformation/resolution of the conlifcts in each scenario. The paper employs a triangulation of methods, including the case method, comparative analysis (to determine the similarities and differences in EU involvement in the conflict), the process tracing method, and discourse analysis (reports, speeches of leaders, etc.) to asses the effectiveness/failure of the EU involvement in conflict transformation/resolution.

According to research, the hypothesis is in agreement with the three theories given. The hypothesis was tested using empirical data, and the conclusion is that mechanisms and policies implemented by the EU in direction of conflict resolution/transformation are efficient in the case of member states, but less effective or ineffective in the case of non-member states.

keywords:

conflict resolution; peace processes; readiness; ripeness; EU foreign policy; conflict Triangle; Conflicts of the Northern Ireland, Cyprus and Abkhazia.